

ცვლილება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებაში „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“

2020 წლის 21 თებერვალს ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილებაში „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“. ცვლილების მიხედვით ბიზნესოპერატორი ვალდებულია:

- სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და საგნების წარმოება განახორციელოს კარგი წარმოების პრაქტიკის (GMP) ზოგადი წესებითა და დეტალური წესებით კარგი წარმოების პრაქტიკის შესახებ დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
- დადგენილების მიხედვით, სურსათთან არაპირდაპირი შეხების მხარეზე საბეჭდი საღებავი ისე უნდა იყოს დატანილი, რომ დაბეჭდილი მხრიდან პროდუქტის შიდა მხარეზე არ გადავიდეს რეგლამენტით დადგენილზე მეტი ოდენობით საღებავი.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25 თებერვალი 2020

საქართველოს მთავრობის №47 დადგენილება სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

2020 წლის 21 იანვარს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის დადგენილება „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. დადგენილებით განსაზღვრული „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან. დადგენილების მიხედვით:

- დადგენილების გამოქვეყნებიდან, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია

შეამოწმოს საქართველოს ბაზარზე განთავსებული სათამაშოების შესაბამისობა რეგლამენტთან და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები სათამაშოების შესაბამისობაში მოსაყვანად.

ტექნიკური რეგლამენტი „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“

- შესაბამისი სუბიექტი ვალდებულია, ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან, უზრუნველყოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენლის დაშვება პროდუქტის რეალიზაციის ადგილებში, ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას პროდუქტის შესაბამისობის დასადგენად აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები.
- დადგენილება მოიცავს „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტს. რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება სათამაშოებზე, რომლებიც დაპროექტებულია ან განკუთვნილია 14 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის სათამაშოდ, მიუხედავად იმისა, აღნიშნული პროდუქტი დაპროექტებულია ან განკუთვნილია მხოლოდ სათამაშოდ გამოყენებისთვის თუ არა. რეგლამენტით ასევე განისაზღვრება პროდუქტთა სია, რომლებზეც არ ვრცელდება რეგლამენტის მოთხოვნები.
- რეგლამენტის მიხედვით, სავალდებულოა სათამაშო, მასში შემავალი ქიმიური ნაერთების ჩათვლით, დანიშნულების მიხედვით ან/და ბავშვის სხვა მოსალოდნელი გზით გამოყენებისას, არ უქმნიდეს საფრთხეს მომხმარებლის ან მესამე პირების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას.
- ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად დატანილი ეტიკეტი და სათამაშოს თანმხლები ინსტრუქცია, ნათლად უნდა უთითებდეს სათამაშოს გამოყენებისას არსებულ საფრთხეებზე და შესაძლო ზიანზე, ასევე აღნიშნული საფრთხისა და ზიანის თავიდან აცილების გზებზე.

ეტიკეტი

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25 თებერვალი 2020

კანონის პროექტი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

2020 წლის 7 თებერვალს საქართველოს პარლამენტში ინიცირებული იქნა კანონის პროექტი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. კანონპროექტის მიხედვით, უნდა შეიცვალოს შემდეგი საკითხები:

ცვლილებები დეფინიციებში

- პროექტის მიხედვით, მარტივდება პროსპექტის დამტკიცების წესი. კერძოდ, ყალიბდება შეთავაზების პირობების დოკუმენტის ცნება, რომელიც დამტკიცებულ პროსპექტთან ერთად წარმოადგენს შეთავაზების საბოლოო პროსპექტს. შეთავაზების პირობების დოკუმენტით ზუსტდება შეთავაზების საბოლოო პირობები.
- ასევე ფართოვდება ემიტენტის განსაზღვრება. კანონის პროექტით, ემიტენტი არის პირი, აგრეთვე, იურიდიული პირის სტატუსის არმქონე წარმონაქმნი, რომელიც უშვებს ფასიან ქაღალდებს.
- კანონპროექტით იცვლება საჯარო წილობრივი ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის საჯაროობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. მნიშვნელოვანი შენაძენი განისაზღვრება ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული ზღვრული ოდენობების შესაბამისად (5%, 10%, 15%, 20%, 25%, 30%, 50%, 75%).
- კანონის პროექტით დგინდება ქმედებების ინსაიდერულ ვაჭრობად და ბაზრის მანიპულაციად კვალიფიცირების კრიტერიუმები. კერძოდ, იკრძალება:
 - პირის მიერ ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობა ან ვაჭრობის მცდელობა;
 - მესამე პირისათვის ინსაიდერულ ვაჭრობასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მიცემა ან ინსაიდერულ ვაჭრობაზე მისი დაყოლიება;
 - ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნება;
 - ბაზრის მანიპულაცია ან მანიპულაციის მცდელობა.
- ბაზრის მანიპულაციად ითვლება:
 - გარიგების დადება, დავალების განთავსება ან სხვა ქმედება, რომელიც იწვევს ან რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მცდარი ან შეცდომაში შემყვანი სიგნალი ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნასთან, მიწოდებასთან ან ფასთან დაკავშირებით;
 - ფასიანი ქაღალდების ფასის მიყვანა ან შენარჩუნება არანორმალურ ან ხელოვნურ მაჩვენებლამდე/მაჩვენებელზე;
 - გარიგების დადება, სავაჭრო დავალების განთავსება ან სხვა ქმედება, რომელიც ახდენს გავლენას ან შეიძლება მოახდინოს გავლენა ფასიანი ქაღალდების ფასზე, თუკი მას თან ახლავს შეცდომაში შემყვანი ან

ბაზრის მანიპულაცია

ყალბი საშუალების/სქემის გამოყენება;

- ინფორმაციის გავრცელება, რაც იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს მცდარი ან შეცდომაში შემყვანი სიგნალის წარმოქმნა ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნასთან, მათ მიწოდებასთან ან ფასიანი ქაღალდების ფასთან დაკავშირებით, ან რაც იწვევს ან რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფასიანი ქაღალდების ფასის არანორმალურ ან ხელოვნურ მაჩვენებლამდე/მაჩვენებელზე მიყვანა ან შენარჩუნება, თუკი ინფორმაციის გამავრცელებელმა პირმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა, რომ ცნობები იყო მცდარი ან შეცდომაში შემყვანი;
- მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გადაცემა ან/და მონაცემების მიწოდება ბენჩმარკთან დაკავშირებით, როცა პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ინფორმაციის სიმცდარის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებები

- აღსანიშნავია, რომ ცვლილებათა პაკეტში ასევე წარდგენილია პროექტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. კანონის პროექტის მიხედვით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის გამო ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული სანქციების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს ოფიციალურ ვებგვერდზე.
- საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერი პირისგან მოითხოვოს და მიიღოს ახსნა-განმარტება წერილობითი ან/და ზეპირი სახით ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ან/და ინვესტორთა ინტერესების შესაძლო საფრთხის შექმნის შემთხვევაში.
- ამასთან, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს და სხვა პირებს დაუწესოს სანქციები, მათ შორის, ფულადი ჯარიმა.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 19 თებერვალი 2020

კანონის პროექტი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“

2020 წლის 6 თებერვალს საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონის პროექტი "რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" და მისგან გამომდინარე კანონპროექტები. კანონის პროექტის

მიხედვით, კანონის ძირითადი ნაწილი უნდა ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან.

- სრულად ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნება ცნობილი საქართველოს კანონი "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ".

კანონის პროექტისა და განმარტებითი ბარათის მიხედვით, იცვლება შემდეგი საკითხები:

ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა

- კანონის პროექტი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში გადასვლას. ამიერიდან, მოვალე და კრედიტორი ელექტრონულად მიიღებენ საქმეში არსებულ მასალებს.
- ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის განთავსება ჩაითვლება ოფიციალურ გამოქვეყნებად და ელექტრონული სისტემის მეშვეობით გაგზავნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია შესაბამისი ადრესატისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება მისი სისტემაში განთავსების მომენტიდან.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი

- შემოდის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესია. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი არის შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე, პროფესიული წრეების წარმომადგენელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი. საქართველოს იუსტიციის მინისტრი (შემდგომ – იუსტიციის მინისტრი) უფლებამოსილია ბრძანებით განსაზღვროს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა კატეგორიები, რომლებსაც დაშვება ექნებათ გადახდისუუნარობის სხვადასხვა ტიპის საქმეებზე, მათი სირთულის გათვალისწინებით.

გადახდისუუნარობის მასა

- იცვლება მოვალის ქონების სახელწოდება და „გადახდისუუნარობის მასად“ იწოდება. გადახდისუუნარობის მასა მოიცავს მთელ ქონებას, რომელიც მოვალეს ეკუთვნის განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისათვის, ასევე ამ მომენტიდან შემენილ/მიღებულ/წარმოებულ ქონებას. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის მსგავსად, გადახდისუუნარობის მასაში არ შედის ქონება, რომელზეც, არ დაიშვება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იძულებითი აღსრულება.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25 თებერვალი 2020



ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე

პარტნიორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

E-mail: sergi.kobakhidze@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

ვანო გოგელია

იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი

E-mail: vano.gogelia@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 276,000 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 742 ოფისში.

PwC საქართველოს საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვ.

PwC საქართველო იურიდიული მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში, 3,200 იურისტით 85-ზე მეტ ქვეყანაში.



აღნიშნული მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაეყრდნოს ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2020 PwC. ყველა უფლება დაცულია. "PwC" ნიშნავს შპს ფრანსუთერკაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure.